



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

2024-2025 წლებისთვის კლიმატის ცვლილების განახლებული სამოქმედო გეგმაზე (ენერგეტიკის სექტორი)

15 დეკემბერი, 2023 წ.

2023 წლის 27 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა 2024-2025 წლებისთვის კლიმატის ცვლილების განახლებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც ფარავს მომდევნო - 2024-2025 წლების პერიოდს და წარმოადგენს 2030 წლის კლიმატის ეროვნული სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს. გეგმაში წარმოდგენილია ემისიების შემცირების აქტივობები 7 სექტორში: ენერჯის გენერაცია და გადაცემა, ტრანსპორტი, შენობები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა და სატყეო მეურნეობა. დოკუმენტის საჯარო განხილვა გაიმართა 12 დეკემბერს.

აღსანიშნავია, რომ 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ენერგეტიკის ნაწილის განხილვის მიზნით, უკვე გაიმართა ორი შეხვედრა ენერგეტიკის სექტორის ტექნიკური სამუშაო ჯგუფის ფორმატში, სადაც მწვანე ალტერნატივამ წარუდგინა შენიშვნები და პოზიცია განსახილველ დოკუმენტზე ა.წ. 25 ოქტომბერს.

სამწუხაროდ, განახლებულ დოკუმენტში მინიმალურად აისახა ჩვენს მიერ 25 ოქტომბერს წარდგენილი შენიშვნები, დასაბუთებული არგუმენტები შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შესახებ კი არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, მწვანე ალტერნატივა წარმოგიდგენთ განახლებულ შენიშვნებს 27 ნოემბერს გამოქვეყნებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის ენერგეტიკულ ნაწილზე.

აქცენტი კვლავ ჰიდროელექტროსადგურებზე

არსებული პროგნოზებით, საქართველოში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია საშუალო ტემპერატურის 2041-2070 წლებისთვის 1.6°C-3.0°C-ით, ხოლო 2100 წლისთვის 2.1°C-3.7°C-ით ზრდა 1971-2000 წლების საბაზისო პერიოდთან შედარებით¹. უფრო პესიმისტური პროგნოზია გაკეთებული 2021 წელს აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ მომზადებულ საქართველოს კლიმატური რისკების პროფილში და 2090 წლისთვის საშუალო ტემპერატურის ზრდას 1.4°C-4.9°C ფარგლებში ვარაუდობს, 1986-2005 საბაზისო წლებთან შედარებით².

კვლევის მიხედვით, საქართველოს მდინარეებში წყლის ნაკადის შემცირება მოსალოდნელია ზაფხულის თვეებში და ემთხვევა ენერგიაზე პიკურ

¹საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, Georgia's Environmental Outlook (GEO)-ის მიერ, 2021 წელს მომზადებული ანგარიში

² <https://www.adb.org/publications/climate-risk-country-profile-georgia>

მოთხოვნას, რომელიც ძირითადად კმაყოფილდება ჰიდროგენრაციით. პირველადი შეფასებით, მაგალითად, მდინარეებში ალაზანსა და ხრამ-დებედაში მოსალოდნელია წყლის ნაკადის შემცირება 30%-55%-მდე 21 საუკუნის ბოლოსთვის. კვლევაში დამატებით საფრთხეებად ხაზგასმულია კლიმატის ცვლილების გამო, მეწყერების გააქტიურების რისკებიც, განსაკუთრებით, საკვანძო ენერგოინფრასტრუქტურის სიახლოვეს.

აღნიშნულის ფონზე, კიდევ უფრო გაუგებარია, რატომ განისაზღვრა კლიმატის სამოქმედო გეგმაში 2026 წლამდე შესასრულებელ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ ამოცანად კვლავ ჰიდროელექტროსადგურების წარმოების ხელშეწყობა (87.7 მეგავატი), მაშინ როდესაც ქარის და მზის ენერჯების გამოყენების ხელშეწყობას კიდევ უფრო სიმბოლური დატვირთვა მიეცა, ვიდრე დოკუმენტის წინა ვერსიებში (ახალი ვერსიით, 2026 წლამდე უნდა აშენდეს მხოლოდ 28 მეგავატი ქარის და 68 მეგავატი მზის სადგურები).

ეს განაწილება და მიდგომა კიდევ უფრო უცნაურია, ვინაიდან გენერაციის დივერსიფიკაციის ნაცვლად, აქცენტი კვლავ ჰესებზე კეთდება. ნაწილობრივ ამ საფრთხეებს საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაც აღიარებს: „წყლის ნაკადის კლების გამო, ელექტროენერჯის ჰიდროწარმოების შემცირებამ ბოლო წლებში ელექტროენერჯის იმპორტის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდა. ქვეყნის რესურსით წარმოებული ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდების უნარის გამომუშავება და ამ გზით ენერგოსაფრთხოების გაუმჯობესება, ეროვნული მნიშვნელობის ამოცანაა (საქართველოს მთავრობა, 2020 წ.).“ მართალია, არ არის ბოლომდე გასაგები, რას ნიშნავს „ქვეყნის რესურსით წარმოებული ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდების უნარის გამომუშავება“ თუმცა ფაქტია, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ამოცანები წინააღმდეგობაში მოდის როგორც სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებთან (სეზონურობა), ისე კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ მოსალოდნელ საფრთხეებთან და შედეგებთან.

დოკუმენტში მთავარ საფრთხედ რატომღაც მიჩნეულია „მოსახლეობის პროტესტის გამო სამშენებლო კომპანიების/ინვესტორების მიერ სამუშაოს შეფერხება/გაუქმება“, ნაცვლად იმ მიზეზების აღწერისა, თუ რამ გამოიწვია ეს პროტესტი.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დოკუმენტში წარმოდგენილი იყოს რეალური საფრთხეების აღწერა, და ადეკვატური ღონისძიებები. აქცენტი გადატანილი უნდა იყოს გენერაციის დივერსიფიკაციის საჭიროებაზე (ჰესების გენერაციის წილის შემცირებაზე), ენერგოეფექტურ ღონისძიებებზე ელექტროენერჯის მოხმარების მიმართულებით (ვარჯარას და ფლუროსცენტული ნათურების აკრძალვა, გარე განათებების ენერგოეფექტური ლედ ნათურებით ჩანაცვლების ხელშეწყობა, ფინანსური მხარდაჭერა მოწყვლადი მოსახლეობისთვის ენერგოეფექტური მოწყობილობების შესაძენად ა.შ.), რომლის შესრულება რეალისტურია და საგრძნობი ეფექტის მიღება შეიძლება 2026 წლამდე. დოკუმენტში განსაზღვრული ამოცანა, რომ 2026 წლისთვის აუცილებლად უნდა აშენდეს დერივაციული მტკვარი და სტორი 1 ჰესი, რომელსაც არც დეკარბონიზაციის და არც ენერგოსაფრთხოების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ გააჩნია, სრულად აკმაყოფილებს რისკებში ჩასაწერ კრიტერიუმებს.

ევროკავშირის შემთხვევაში, განახლებადი ენერჯები მართლაც განიხილება ენერგოსაფრთხოების ამალღების ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად, თუმცა ძირითადად აქცენტი კეთდება ქარის და მზის ენერჯებზე, ახალ ტექნოლოგიებზე, რითიც შესაძლებელია წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება იაფი ელექტროენერჯით, განსაკუთრებით ტრანსპორტსა და ინდუსტრიულ სექტორებში, ემისიების შემცირება ა.შ. ჩვენს შემთხვევაში კი, ამ მიმართულებით შეფასებაც კი არ არის გაკეთებული, როგორც უნდა ჩაანაცვლოს მაგალითად, ჰიდროელექტროსადგურებმა იმპორტირებული ენერჯია, როდესაც დეფიციტურ პერიოდებში ჰესების კონტრიბუცია მინიმალურია.

ენერგოეფექტურობის დამატების აუცილებლობა

საქართველოს 2024-2025 წლებისთვის კლიმატის ცვლილების განახლებული სამოქმედო გეგმის თანახმად, ენერგეტიკის სექტორში ძირითად პრიორიტეტად კვლავ რჩება მხოლოდ ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორი, შესაბამისი მიზნებით, ამოცანებით და ინდიკატორებით. მიგვაჩნია, რომ ენერგეტიკის სექტორი მხოლოდ გენერაცია და გადაცემა არ არის და მხოლოდ ამ მიმართულებაზე აქცენტის გაკეთება არ არის სწორი.

სამოქმედო გეგმაში ენერგეტიკის ნაწილს ცალკე ამოცანად უნდა დაემატოს ენერგოეფექტურობა, როგორც ენერგომომხმარებლის შემცირების შესაძლებლობა, რადგან ენერგოეფექტურობის მხოლოდ ფრაგმენტული გადამწიგნობა სამოქმედო გეგმის სხვადასხვა თავებში არ არის საკმარისი.

ენერგოეფექტურობა წარმოადგენს ენერჯიაზე მოთხოვნის მართვის ყველაზე პრიორიტეტულ და საკვანძო მიმართულებას და ევროკავშირში განიხილება როგორც „ენერჯის წარმოების ძირითადი შესაძლებლობა“. სათანადოდ დაგეგმილი მხარდამჭერი ღონისძიებებით (ფინანსური მხარდამჭერა მოწყვლადი ჯგუფებისთვის), შესაძლებელია როგორც პირველადი, ისე საბოლოო ენერჯის მოხმარებაზე მოთხოვნის კიდევ უფრო შემცირება, ვიდრე ეს ხდება დღეს. შედეგად, ენერგოეფექტურობა ანაცვლებს ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობაზე გასაწევ ძვირ ინვესტიციებს, ამცირებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას, ზრდის მიწოდების უსაფრთხოებას³ და საბოლოოდ, ამცირებს სათბური აირების გაფრქვევას. და რაც მთავარია, შედეგების მიღწევა მოკლე და საშუალოვადიან პერიოდშია შესაძლებელი.

აღნიშნულ საკითხზე დასმულ შეკითხვაზე, სამინისტროს წარმომადგენლის გაცემული პასუხი, რომ ახლა რაიმეს დამატება სამოქმედო გეგმაში შეუძლებელია, ეწინააღმდეგება საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 სტრატეგიის 4.1.2 თავს „სხვა სამომავლო პრიორიტეტული მიმართულებები“, რომლის თანახმად, „ზემოთ წარმოდგენილი ამოცანების გარდა, საქართველო დაინტერესებულია, გამოიკვლიოს ემისიების შემცირების სხვა პოტენციური სფეროებიც, რაც საბოლოოდ, გაზრდის მის პროგრესს პარიზის შეთანხმებით დადგენილი სამიზნე ტემპერატურის მიღწევაში“. ამასთან გეგმის ახალ ვერსიას უკვე დაემატა ამოცანა „1.1.4. 200 მგვტ.სთ ენერჯის შემნახველი ბატარეის სისტემის (BESS) მონტაჟი ქსანის ქვესადგურზე“. ეს კი გაუგებარს ხდის სამინისტროს წარმომადგენლის პასუხს დამატებითი ამოცანების დამატების შეუძლებლობაზე, ისევე როგორც ახალი ქარისა და მზის გენერაციის ასეთ დაბალ მაჩვენებელზე.

სახურავების მზის სადგურები და აქტიური მომხმარებლები

მზის პოტენციალის ასათვისებლად, 2026 წლამდე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი 68 მეგავატის სიმძლავრის მზის სადგურის აშენება (მარნეული), მაშინ როდესაც გეგმაში საერთოდ არაა ნახსენები სახურავის მზის სადგურები, რომელიც საკმაოდ მიმზიდველ მიმართულებად გადაიქცა ბოლო წლებში. ნეტო აღრიცხვის ჩართვიდან დღემდე უკვე 60 მეგავატამდე სიმძლავრეა ჩართული ქსელში (ეკონომიკის სამინისტროს პასუხი). შესაბამისად, უცნაურია, რომ ასეთი მზარდი სექტორი საერთოდ ვერ მოხვდა კლიმატის სამოქმედო გეგმაში. ინდივიდუალური მზის გენერაცია და მომხმარებლების აქტიურ მომხმარებლებად გარდაქმნა (Prosumer) ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და ხელს უწყობს სისტემის განტვირთვას და მედეგობის ზრდას.

³ https://energy.ec.europa.eu/topics/energy-efficiency/energy-efficiency-targets-directive-and-rules/energy-efficiency-first-principle_en

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს მიმართულება უნდა დაემატოს სამოქმედო გეგმას, ხოლო სამიზნე მაჩვენებელი განისაზღვროს ამ სფეროში მოქმედ კომპანიებთან კონსულტაციის საფუძველზე. ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშემწყობი ღონისძიებები ამ სექტორის კიდევ უფრო განვითარებისთვის.

ქარისა და ჰიდროელექტროსადგურების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი თანხები

კითხვებს აჩენს დოკუმენტის აქტივობათა ბიუჯეტები. მართალია, დოკუმენტში განიმარტა, რომ ეს თანხები ინვესტიციებია, თუმცა აუცილებლად უნდა დაზუსტდეს კონკრეტულად 2026 წლამდე განსახორციელებელი პროექტებისთვის საჭირო ინვესტიციების ოდენობა და არა კოლექტიური რაოდენობა ინვესტიციების. კერძოდ აქტიობა „1.1.1 ქარის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები“ (1 543 860 000 ლარი (571,8 მლნ აშშ დოლარი)) და 1.1.3 „ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები“ (923 940 000 ლარი (342,2 მლნ აშშ დოლარი)). უნდა განიმარტოს, რას გულისხმობს ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერაც და რა თანხებს მოითხოვს ის.

დეკარბონიზაცია

კიდევ ერთი საკითხი რომელიც აუცილებელია, დაემატოს და ახლებურად განისაზღვროს 2024-2025 წლების კლიმატის სამოქმედო გეგმაში არის დეკარბონიზაცია, სადაც ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სუფთა ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობაზე, რაც გულისხმობს ქვანახშირის, გაზის და ნავთობის ჩანაცვლებას საწარმოო პროცესებში, ინდუსტრიების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი სათანადოდ განხილული არ არის ენერგოპოლიტიკისა და ეროვნული ენერჯეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიებშიც.

ენერგოპოლიტიკის დოკუმენტებში ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის პოტენციური რესურსების ძებნა-ძიებისა და რაციონალური ათვისების მაქსიმალური ხელშეწყობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებადაა განხილული, რათა ენერჯიაზე მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს იმპორტირებული ენერჯის ეტაპობრივი ჩანაცვლებით საკუთარი ენერჯეტიკული რესურსებით.

კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში კი „თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესების“ ქვეშ გათვალისწინებულია ახალი კომბინირებული თბოელექტროსადგურის „გარდაბანი 3“-ის მშენებლობა, რომელმაც სხვა სადგურების მსგავსად, უნდა იმუშაოს იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. შესაბამისად, ეს აქტივობა ეწინააღმდეგება ენერგოპოლიტიკის გაცხადებულ მიზანს იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირების თაობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ემისიების შემცირებაზე.

შესაბამისად, გაუგებარია, რატომ კეთდება აქცენტი კიდევ უფრო მეტ წიაღისეულ საწვავის მოხმარებაზე ყოველგვარი ხარ-სარგებლიანობის ანალიზის გარეშე, მაშინ როდესაც არსებობს საფრთხე, რომ ეს ინვესტიციები შესაძლოა გადაიქცეს ე.წ. „Stranded“ აქტივებად.

გარდაბანი 3 ახალი თბოსადგური

სამოქმედო გეგმის მიხედვით, ახალი კომბინირებული გარდაბანი-3 თბოელექტროსადგურის მშენებლობა არის გათვალისწინებული 2026 წლამდე, რომელიც ავტორების მტკიცებით, ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას (SDG). კერძოდ, ეს ობიექტი ხელს შეუწყობს შემდეგი მიზნების მიღწევას: SDG 3

(ჯანმრთელობა და კეთილდღეობა), SDG 7 (ხელმისაწვდომი და სუფთა ენერჯია); და SDG 11 (ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება).

აუცილებელია, გეგმის ავტორებმა დეტალურად წარმოადგინონ განმარტება და დასაბუთება, კონკრეტულად გაზუე მომუშავე გარდაბანი - 3 ელექტროსადგური როგორ და რა კუთხით და მიმართულებით იმოქმედებს დადებითად ზემოთაღნიშნულ მიზნებზე, განსაკუთრებით სუფთა და ხელმისაწვდომი ენერჯიის კატეგორიაზე. აქვე უნდა გაკეთდეს განმარტება, როგორ უზრუნველყოფს ეს ობიექტი ქვეყნის ენერგოსაფრთხოებას, მაშინ როცა ეს სადგური კიდევ უფრო გაზრდის იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულებას ან რატომ ვგეგმავთ 200 მეგავატის სიმძლავრის ბატარეას, თუ მაინც თბოელექტროსადგური დავგჭირდება.

ენერგოსექტორის მედეგობის გაზრდა

სამოქმედო გეგმაში აუცილებლად უნდა დაემატოს ენერგოსექტორის მედეგობის გაზრდის საკითხი, კერძოდ, რა უნდა დაიგეგმოს ამ მიმართულებით მიწოდების უსაფრთხოების გავლენის მინიმუმზაციისთვის, მაგალითად, ენერჯიების ურთიერთჩანაცვლების რა შესაძლებლობები უნდა განვითარდეს (თბური ტუმბოები), ბატარეები, თუ სხვა ტექნოლოგიების ხელშეწყობა. უნდა განისაზღვროს გაზომვადი მიზნობრივი მაჩვენებლები და ღრობი გაწერილი ქმედებები ინდიკატორებთან ერთად.

მართალია, ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმაში დაემატა ახალი ამოცანა „1.1.4. 200 მგვტ.სთ ენერჯიის შემნახველი ბატარეის სისტემის (BESS) მონტაჟი ქსანის ქვესადგურზე“, თუმცა ამ ამოცანის დამატებით კიდევ უფრო გაუგებარი ხდება, რატომ უნდა აშენდეს 2026 წლამდე ახალი იმპორტირებულ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგური ან/და კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადი ჰიდროგენერაციის ობიექტები. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერჯიის მოხმარება საქართველოში მცირდება 2022 წლის 1 ივლისიდან, და ეს ტენდენცია შენარჩუნდება უახლოეს მომავალშიც. სამწუხაროდ, არც ეს საკითხი არ არის ნახსენები გეგმაში.

მწვანე წყალბადის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და გზამკვლევის შემუშავება

სამოქმედო გეგმით, 2026 წლამდე გათვალისწინებულია მწვანე წყალბადის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და გზამკვლევის შემუშავება, რისთვისაც 6 888 824,05 ლარია (1,775,000 აშშ დოლარი+ 797,833 ევრო) გამოყოფილი გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ.

დოკუმენტის მტკიცებით, ამ აქტივობამ ხელი უნდა შეუწყოს წიაღისეული რესურსის ინდუსტრიის მწვანე წყალბადთან ადაპტაციას, თუმცა სამინისტროების მხრიდან არ იყო წარმოდგენილი უფრო კონკრეტული განმარტება გარდა ერთისა, რომ ქ. ბათუმში იგეგმება წყალბადზე მომუშავე 18 ავტობუსის შემოყვანა.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, მსოფლიოში მწვანე წყალბადის მიღების ორ ტექნოლოგიაზე მიდის მუშაობა: Alkaline Exchange Stack-ზე და უფრო ახალ Proton Exchange Stack-ზე. თუმცა ორივე შემთხვევაში, ეკონომიკური მიზანშეწონილობა ამ ტექნოლოგიების არ არის მიღწეული. საქმე იმაშია, რომ 1 კგ-ის ექვივალენტი მწვანე წყალბადის მისაღებად საჭიროა 10 ლიტრამდე სუფთა H₂O და 50 კვტ-მდე ენერჯია. თუ წყალბადის გამოყენება მოხდება რევერსულად კვლავ დენის საწარმოებლად, 1 კგ წყალბადით (H₂) მხოლოდ 30 კილოვატამდე ენერჯიის მიღებაა შესაძლებელი, რაც მწვანე წყალბადს როგორც ენერჯიის შესანახ საშუალებას ენერგეტიკულად მიზანშეწონარს ხდის. ამასთან სუფთა H₂O-ს მისაღებად, კიდევ დამატებით ცალკე დანადგარი, ინვესტიცია და დამატებითი ენერჯიაა საჭირო, რომელიც ამ შემთხვევაში (50 კვტ-ში) გათვალისწინებული არ იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია, რას ეფუძნება ეკონომიკის სამინისტროს ასეთი დიდი მოლოდინები მწვანე წყალბადთან დაკავშირებით ან/და რატომ უნდა დაეხარჯოთ 7 მილიონამდე ლარი სტრატეგიულ გეგმასა და გზამკვლევზე. არსებული მონაცემებით ეკონომიკურად მიზანშეწონილი გამოყენება მწვანე წყალბადის შემოიფარგლება დიდი წყალწყვის სამოქალაქო და სამხედრო ხომალდებისთვის და რეალურად შორეული მომავლის საკითხია.

მერების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ასახვა კლიმატის სამოქმედო გეგმაში

კიდევ ერთი საკითხი რომელიც ასახული უნდა იყოს კლიმატის სამოქმედო გეგმაში, ეს არის თვითმმართველი ქალაქების მიერ მერების შეთანხმებით განსაზღვრული მიზნებისა, ამოცანების და ინდიკატორების გადმოტანა სამოქმედო გეგმაში. ჩვენი ინფორმაციით, დაასრულეს ან დასრულების ეტაპზეა შემდეგი მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმები (SECAPs): სენაკი, ონი, ბაღდათი, ფოთი, გურჯაანი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, დუშეთი, მცხეთა, ყაზბეგი, თელავი, სიღნაღი, ყვარელი და დედოფლისწყარო. ამასთან ქ. თბილისს აქვს მობილობის სამოქმედო გეგმაც.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ განსახილველად წარმოდგენილი კლიმატის სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანია შესასრულებლად არამარტო „ვალდებულებების შესრულების გამო“, არამედ იმ გამოწვევების საპასუხოდ, რასაც კლიმატის ცვლილება უქადის საქართველოს.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია:

- სამინისტროებმა განმარტონ, როგორ განისაზღვრა საბაზისო სცენარი, რა აქტივობებს მოიცავდა და რა აქტივობებზე იყო უარი ნათქვამი კლიმატის სამოქმედო გეგმაში საბაზისო სცენარიდან;
- სამოქმედო გეგმა უნდა განახლდეს და დაემატოს გამოტოვებული საკითხები და ასევე წაიშალოს თბოელექტროსადგურის მშენებლობის, ჰესებისა და მწვანე წყალბადის განვითარების ამოცანები.